

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

გამოყენებითი საგრანტო ნომინაციის პროექტი №023

**ალუმინის დაბალტემპერატურული დანაფარების ინოვაციური
ტექნოლოგია**

დასკვნითი ანგარიში

პროექტის ხელმძღვანელი
და მენეჯერი

თემურ ჩახუნაშვილი

თბილისი
2014

ამოცანა №1 ქმედება 1.

საწყისი მონაცემები

დაბალტემპერატურული ალუმინირების გამსხვილებული მასშტაბის
ელექტროლიზური აბაზანის დასაპროექტებლად

1. აბაზანის დენიო დატვირთვა _____ 1-8 ამპერი

2. კათოდური დენის სიმკვრივე _____ 20-50გა/სმ²

3. ანოდური დენის სიმკვრივე _____ ~20გა/სმ²

4. კათოდური დანაფარის სისქე _____ 15-30გმ

5. მუშა ელექტროლიტის _____ AlCl₃, BaCl₂, NaCl
შემადგენლობაში შემავალი კომპონენტები

6. ძაბვა აბაზანაზე _____ 2,2 - 2,5გ

7. უწყლო ალუმინის ქლორიდის _____ 2,47 გ/სმ³
სიმკვრივე ოთახის ტემპერატურაზე

8. ნალღობის ელექტროლიზის _____ 100-125°C
ჩატარების ტემპერატურა

9. ალუმინიო დასაფარი დეტალების _____ 150მმX50მმX50მმ
მაქსიმალური ზომები

10. ნალღობის ელექტროლიზის _____ ~90 წთ
ერთი ციკლის (ერთი დაფარვის)
მაქსიმალური ხანგრძლივობა

11. ალუმინიო დასაფარი _____ ნახშირბადოვანი და
დეტალების მასალა საკონსტრუქციო ფოლადები

12. ერთდროულად დასაფარი _____ 4-8 ცალი
ჭანჭიკების რაოდენობა

13. ანოდის მასალა _____ ტექნიკური სისუფთავის ალუმინი

14. აბაზანის კორპუსის მასალა _____ ალუმინი

15.აბაზანის კორპუსის კედლის სისქე _____ 2-3გვ

16.აბაზანის ობოიზოლაცია _____ მინაბოჭვო, ბაზალტის ქეჩა

17.ობოიზოლაციის სისქე _____ 20-30გვ

18.აბაზანის სახურავის მასალა _____ ალუმინი

19.სახურავის აბაზანის _____ ჭანჭიკებიანი შეერთებით
კორპუსზე დამაგრების ხერხი

20.დასაფარი დეტალების _____ მექანიკური დამუშავება ან
წინასწარი დამუშავების მეთოდი განცხილვა და მოწამვლა

21.მუშა ელექტროლიტის საჭირო _____ ელექტროენერგიით
ტემპერატურის მიღწევისა და არაპირდაპირი გახურება
ამ ტემპერატურის შენარჩუნების მეთოდი

22.აბაზანაში ტემპერატურის _____ თერმოწყვილის საშუალებით
გაზომვის მეთოდი

23.ალუმინირებული დეტალების _____ გარეცხვა ონკანის წყლით,
დამუშავების მეთოდი გაშრობა ელექტროსაშრობში
ელექტროლიზის შემდეგ

24.აბაზანაში წარმოქმნილი _____ გამწოვი ვენტილაცია
გაზების ევაკუაციის ხერხები

ამოცანა №1. ქმედება 2

აბაზანის კონსტრუქციის დამუშავება და
ესკიზური პროექტის შედგენა

დაბალტემპერატურული ალუმინირების აბაზანის კონსტრუქციის დამუშავების დროს ვხელმძღვანელობთ პირველ ქმედებაში მოყვანილი საწყისი მონაცემებით, რომელიც შეგადგინეთ ადრე ჩატარებული სამუცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა და ლიტერატურული მონაცემების მიხედვით.

აბაზანის კონსტრუირების დროს მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ფოლადის ნაკეთობების დაბალტემპერატურული გალვანური ალუმინირება არ შეიძლება ჩატარდეს ალუმინის მარილების წყალსსნარების ელექტროლიზით, რადგან ალუმინის ძლიერ უარყოფით ელექტროდული პოტენციალის გამო წყალსსნარებში კათოდზე ალუმინის იონების მაგივრად ხდება წყალბადის განმუხტვა (ალდგენა) აირადი წყალბადის მიღებით. ამიტომ ალუმინის ელექტროლიზით მიღება და შესაბამისად ლითონის ნაკეთობების ელექტროქიმიური ალუმინირება შესაძლებელია ჩატარდეს მხოლოდ ალუმინის შემცველი მარილების, კერძოდ უწყლო ალუმინის ქლორიდის – AlCl_3 –ის ნალილის ელექტროლიზით.

ალუმინირება შეიძლება ჩატარდეს როგორც უხსნადი ანოდების, მაგალითად, გრაფიტის, ასევე ხსნადი ანოდების, კერძოდ ლითონური ალუმინის ანოდების გამოყენებით. ორივე მეთოდს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს. უხსნადი ანოდების შემთხვევაში სარჯვად ნივთიერებას ალუმინის დანაფარის მისაღებად წარმოადგენს AlCl_3 , რომელიც უფრო იაფია, ვიდრე ლითონური ალუმინი. მაგრამ პირველი მეთოდის შემთხვევაში გრაფიტის ანოდზე რაოდენობრივად გამოიყოფა მოლეკულური ქლორი, რომელიც საჭიროებს უტილიზაციას.

ამიტომ უფრო პერსპექტიულად მიგვაჩნია ხსნადი ალუმინის ანოდების გამოყენება, მითუმებებს თუ ანოდების დასამზადებლად გამოყენებული იქნება მეორადი ალუმინი, რაც გააიაფებს პროცესს.

ხსნადი ანოდების გამოყენების შემთხვევაში ანოდზე მიმდინარეობს ალუმინის ანოდური გახსნა: $\text{Al}^0 - 3e \rightarrow \text{Al}^{3+}$, ხოლო კათოდზე (ალუმინით დასაფარ დეტალზე) ხდება $\text{Al}^{3+} + 3e \rightarrow \text{Al}^0$. მაგრამ ამ ძირითადი პროცესის

პარალელურად დაბალი დენის გამოსავლით მიმდინარეობს თანაური რეაქცია ალუმინის ქლორიდის ნალღობის დაშლით. კათოდზე გამოიყოფა AlCl_3 -ში შემავალი ალუმინი ზემოთმოყვანილი რეაქციის მსგავსად: $\text{Al}^{+3} + 3\text{e} \rightarrow \text{Al}^0$, ხოლო ანოდზე გამოიყოფა ექვივალენტური რაოდენობის ქლორი $2\text{Cl}^- - 2\text{e} \rightarrow \text{Cl}_2^0$. ყოველივე ეს, რასაკვირველია, მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული აბაზანის კონსტრუქციების დროს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ღია ალუმინიორების აბაზანა აირადი ქლორის სისტემიდან გამოსაყვანად აღჭურვილი უნდა იყოს ზონგით და საბორტო სავენტილაციო გაწოვით, ან პროცესის ჩასატარებლად გამოყენებული უნდა იყოს შესაბამისი კონსტრუქციის დახურული აბაზანა.

გამსხვილებული მასშტაბის ალუმინიორების აბაზანის კონსტრუქციების დროს ჩვენ წაგედით მეორე გზით, რომელიც საშუალებას იძლევა მიღებული იქნას კონცენტრირებული (ჰაერით განუზავებელი) აირადი ქლორი, რომლის შეგროვება და დაჭირხვნა უფრო ადგილია, ვიდრე ჰაერით განზავებული ქლორის უტილიზაცია.

თავის მხრივ დახურული აბაზანის კორპუსი შეიძლება იყოს ცილინდრული ან პარალელეპიდების ფორმის. ცილინდრული აბაზანის უპირატესობა არის კონსტრუქციის შედარებითი სიმარტივე და კორპუსის შიგნით არსებული ალუმინის ქლორიდის მიერ შექმნილი ჰიდროსტატიკური წნევის ნაკლები გავლენა კორპუსის კონსტრუქციულ სიმარტივეზე. აღნიშნულის გათვალისწინებით ჩვენ უპირატესობა მივეცით ცილინდრული კორპუსის აბაზანას.

ნახ. 1-ზე მოცემულია ალუმინის ცილინდრული აბაზანის ესკიზი ნახაზი.

ამოცანა №1. ქმედება 3

აბაზანის საბოლოო პროექტისა და მუშა ნახაზების შედგენა

აბაზანის დასაპროექტებლად გამოცემული საწყისი მონაცემების საფუძველზე ჩატარდა შესაბამისი გათვლები. ესკიზური პროექტის გამოყენებით დავამუშავეთ აბაზანის საბოლოო პროექტი და შევადგინეთ მირითადი დეტალების მუშა ნახაზები.

აბაზანის კორპუსი წარმოადგენს ალუმინისაგან დამზადებულ ცილინდრულ ჰურჭელს ალუმინისავე ბორტით (მილტუჩით). კორპუსის გარე დიამეტრია 250მმ, მისი კედლის სისქე2მმ, სიმაღლე 250მმ, მთლიანი მოცულობა. კორპუსს შიდა მხრიდან ფსკერიდან 190მმ-ის სიმაღლეზე მიღუდებული აქვს ოთხი პატარა ბაქანი ზომით 30მმX20მმ ტეფლონისაგან დამზადებული კათოდების (ალუმინით დასაფარავი დეტალების) დამჭერი ფიქსატორის დასაყრდნობად.

აბაზანის სახურავი წარმოადგენს 3მმ სისქის ალუმინის კვადრატულ ფირფიტას გვერდის სიგრძით 350მმ. სახურავს აქვს 10მმ დიამეტრის 16 ნახვრეტი მისი კორპუსზე მისაჭერად ხრახნეუთხვლიანი შეერთებით. გარდა ამისა, სახურავს აქვს ალუმინის მილისაგან დამზადებული ვერტიკალური ბუდე თერმოწყვილისათვის (ბუდის სიგრძე 200მმ, გარე დიამეტრი 12მმ) და პატარა მილი აბაზანაში წარმოქმნილი აირნარევის ევაკუაციისათვის (მილის სიგრძე 30მმ, გარე დიამეტრი 12მმ).

ანოდს აქვს ცილინდრული სპირალის ფორმა და დამზადებულია მართკუთხედის ფორმის კვეთის მქონე ალუმინის მავთულისაგან. სპირალის მავთულის კვეთის ფართი არის 40კვ.მმ, სიგრძე და სიგანე შესაბამისად – 5მმ და 8მმ. ხვიების რაოდენობა 16, თითოეულისათვის შიგა დიამეტრია 175მმ. ალუმინის სპირალის ზედა ხვიის ბოლო გაბრტყელებულია და გამოიყენება ანოდის დენტიმეტანად.

კათოდი წარმოადგენს ალუმინის მავთულზე ჩამოკიდებულ ალუმინით დასაფარ დეტალებს (მაგალითად, ჭანჭიკს, ქანჩს, შაიბას და სხვა), რამდენიმე კათოდი მექანიკურად და შესაბამისად ელექტრულადაც, გაერთიანებულია სპილენძის მავთულით, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს კათოდის დენტიმეტანს.

კათოდის ფიქსატორი წარმოადგენს ტეფლონის ფირფიტისაგან (სისქე 4მმ) დამზადებულ წრეს დიამეტრით 240მმ.

აბაზანის სახურავი არის კვადრატული ფორმის, რომლის გვერდის სიგრძეა 350მმ და დამზადებულია 3მმ სისქის ალუმინის ფირფიტისაგან. სახურავს აქვს მისი ცენტრის მიმართ 150მმ რადიუსის წრეზე სიმეტრიულად განლაგებული 16 ნახვები დიამეტრით 10მმ, რომელიც გამოიყენება აბაზანის კორპუსზე სახურავის მისაჭერად ხრახნებულიანი შეერთებით.

კორპუსის მილტუჩს და სახურავს შორის მოთავსებულია რბილი რეზინისაგან (სისქე 5მმ) დამზადებული ორი შუასადები, რომელთა შორის განლაგებულია ანოდისა და კათოდის დენმიმყვანები. ზემოაღნიშნული დეტალების ჭანჭიკებითა და ქანჩებით მიჭერა უზრუნველყოფს აბაზანის საიმედო პერმეტულობას ალუმინირების პროცესის დროს წარმოქმნილი აირების გაუმნვის თავიდან აცილებას.

სპირალური ანოდის და აბაზანის კორპუსის ერთმანეთისაგან ელექტრული იზოლირებისათვის გამოყენებული იყო ჭრამიკისაგან დამზადებული ფილა დიამეტრით 250მმ და სისქით 20მმ.

ამოცანა №1. ქმედება 4

აბაზანის დეტალების დამზადება

(კორპუსი, ელექტროდები, დენმიმყვანები, სახურავი)

აბაზანის კორპუსის დასამზადებლად გამოყენებული იყო ლითონური ალუმინისაგან დამზადებული ცილინდრული ჭურჭელი, რომელიც ზუსტად შეესაბამებოდა მსხვილლაბორატორიული აბაზანის გაანგარიშებულ ზომებსა და მოცულობას.

აბაზანის კორპუსის ბორტი (მილტუჩი) დამზადდა ალუმინის 3მმ სისქის ფურცლისაგან გილიოტინის და სარანდავი და სახვრები ჩარჩების გამოყენებით.

მილტუჩის მიღუდება აბაზანის კორპუსზე ჩატარდა ელექტროშედულებით არგონის ატმოსფეროში ალუმინის ელექტროდის გამოყენებით.

აბაზანის სახურავი დამზადდა ალუმინის ფურცლისაგან სისქით 3მმ გილიოტინის გამოყენებით. სახურავს საბურდი ჩარჩის გამოყენებით გაუკეთდა ნახაზით გათვალისწინებული 16 ნახვები დიამეტრით 10მმ.

სპირალური ფორმის ანოდი (ცილინდრული სპირალის შიდა დიამეტრით 175მმ) დამზადდა 40კვ.მმ კვეთის მქონე ალუმინის მართკუთხა ფორმის მავთულისაგან, რომელსაც ჩაუტარდა შესაბამისი თერმული დამუშავება ზედაპირის აღსაღებად.

ჭაროდი, რომელსაც წარმოადგენდა ალუმინით დასაფარავი ნახშირბადოვანი ფოლადისაგან დამზადებული ნაკეთობები (ჭანჭიკები, ქანჩები, შუასადებები, შაიბები და სხვა) 2მმ დიამეტრის სპილენძის მავთულის დახმარებით ჩამოიკიდებოდა ასევე სპილენძისაგან დამზადებული დენძიმყვანზე. დენძიმყვანის პორიზონტალურ მდგომარეობაში დასაფიქსირებლად ტეფლონის ფირფიტისაგან რკინის მაკრატლით გამოიჭრა 240მმ დიამეტის წრე (კათოდის ფიქსატორი), რომელიც თავის მხრივ ეყრდნობოდა აბაზანის კორპუსის შიგა ზედაპირზე მიღუდებულ მცირე ზომის ალუმინის 4 ბაქანს.

აბაზანის სახურავზე არგონის ატმოსფეროში მიღუდდა ალუმინის მილისაგან დამზადებული ბუდე თერმოწყვილისათვის და ალუმინისათვის აირგამომყვანი მილი.

ფოლგირებული მინაბოჭკოსაგან (სისქე 50მმ) მაკრატლით გამოიჭრა შესაბამისი ზომის თბოიზოლაციის ფენა აბაზანის კორპუსისათვის.

ამოცანა №1. ქმედება 5 ცვლადი დენის გამმართველის აწყობა

ელექტროლიზური აბაზანის ელექტროენერგიით კვებისათვის გამოვიყენეთ ნახევარგამტარული დიოდებისაგან ქარხნული წესით დამზადებული ელექტრული გამმართველი. ელექტრულ სქემაში ჩართვის წინ გამმართველსა და მის ძირითად კვანძებს (ტრანსფორმატორი, დიოდები, ელექტრული ფილტრი, მუდმივი დენის ამპერმეტრი და ვოლტმეტრი, შემაერთებელი სადენები, კონტაქტები) ჩაუტარდა რევიზია. გაიწმინდა მტვრისაგან და ჟანგის ფენისაგან, შემდეგ ჩაირთო ძალოვან ქსელში და გამოიცადა ფუჭი სვლის რეჟიმში რეოსტატის გამოყენებით.

ამოცანა №1. ქმედება 6

ელექტროლიზური აბაზანის აწყობა და მისი წინასწარი გამოცდა

დაბალტემპერატურული გალვანური ალუმინირების კვანძი ავაწყვეთ შემდეგი ხელსაწყოებისაგან: ელექტრული ღუმელი საელექტროლიზე ნალდობის გასაცხელებლად და ელექტროლიზის პროცესში თბური დანაკარგების შესავსებად, თერმოწყვილი მეორადი ხელსაწყოთი ნალდობის ტემპერატურის რეგისტრაციისა და ვიზუალური დაკვირვებისათვის, ავტომატური რეგულატორი ნალდობის ტემპერატურის ავტომატური რეგულირებისათვის, ელექტროლიზური აბაზანა ალუმინირების პროცესის ჩასატარებლად.

ალუმინირების კვანძი და მისი ძირითადი მოწყობილობა – ელექტროლიზური აბაზანა ავაწყვეთ შემდეგნაირად: არაწვადი მასალისაგან დამზადებულ სადგარზე შემოვდგით ნიქრომის სპირალის ბაზაზე დამზადებული ელექტრული ღუმელი, რომელიც წინასწარ გამოიცადა გამახურებლის ვარგისიანობაზე: შემდეგ ელექტროლუმელის გამახურებელ ფილებზე მოვათავსეთ მინაბამბის თბოიზოლაციის მქონე ელექტროლიზური აბაზანის კორპუსი, ამის შემდეგ მასში ფსკერზე დავდგით წრიული კერამიკული ფილა აბაზანის კორპუსის ანოდისაგან ელექტრულად იზოლირებისათვის. შემდეგ ტეფლონის წრიული ფიქსატორი დავაკომპლექტეთ ალუმინის ანოდისა და სპილენდის მავთულებზე ჩამოკიდებული ალუმინით დასაფარავი დეტალებისაგან (ამ შემთხვევაში ნახშირბადოვანი ფოლადის ჭანჭიკებისაგან) და ეს კონსტრუქცია ჩავდგით აბაზანის კორპუსში წრიულ კერსმიკულ ფილაზე დაყრდნობით. შევავსეთ აბაზანა მისი მოცულობის 2/3-ზე ონკანის წყლით. აბაზანის შიგა სივრცის საიმედო ჰერმეტიკულისათვის აბაზანის კორპუსის მილტუზზე მოვათავსეთ რბილი რეზინის შუასადები, კორპუსს დავადგით ალუმინის სახურავი და დავუჭირეთ 16 ცალი M8 ზომის ჭანჭიკითა და ქანჩით. სახურავზე გაკეთებულ მილისებურ ჯიბეში ჩავასხით ტექნიკური ზეთი და ჩავდგით თერმოწყვილი, რომლის თავისუფალი ბოლოები მივუერთეთ მეორად მარეგისტრირებელ ხელსაწყოს. ნიქრომის სპირალის წრედში ჩავრთეთ ტემპერატურის ავტომატური რეგულატორი, რომლის დავალების მიმცემი დავაყენეთ 100°C ტემპერატურაზე და ელექტრულ ღუმელს მივაწოდეთ ძაბვა (220ვ). წყლის გაცხელების პროცესში ვაკვირდებოდით ელექტროლიზური აბაზანის დეტალების მდგომარეობას და მათ მუშაობას. აბაზანაში ჩასხმული წყლის გაცხელება მოცემულ ტემპერატურამდე გრძელდებოდა დაახლოებით საათნახევრის

განმავლობაში. წყლის გაცხელების პროცესში აბაზანის სახურავის პირგამომყვანი მიღიდან დაიწყო გამოსვლა წყლის ორთქლმა, რომელიც ამ შემთხვევაში წარმოადგენდა ელექტროლიზის პროცესში წარმოქმნილი აირების იმიტაციას. წყლის ტემპერატურის შენარჩუნება 100°C ტემპერატურაზე ავტომატური რეგულატორის დახმარებით გრძელდებოდა 3 საათის განმავლობაში. ტემპერატურის შენარჩუნების სიზუსტე შეადგენდა $\pm 3^{\circ}\text{C}$, რაც სრულიად საკმარისია ელექტროლიზის პროცესის ნორმალურად ჩატარებისთვის. შედევების ადგილებიდან, აგრეთვე მიღიმში წყლის გაცხელებაზე წარმატებით წყლის ორთქლის გამოსვლა არ შეინიშნება, რაც მიუთითებდა აბაზანის ჰერმეტაციის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაზე.

ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ალუმინირების აბაზანის წინასწარმა გამოცდამ ფუჭი სვლის რეჟიმში წყლის გაცხელებაზე წარმატებით ჩაიარა, რითაც მიღწეული იქნა ამოცანა №1-ით დასახული მიზანი.

ამოცანა №2. ქმედება 1

ტექნოლოგიური პარამეტრების დაზუსტების ცდების დაგეგმვა

ტექნოლოგიური პარამეტრების დაზუსტების ცდების ჩატარებისათვის საჭიროა შემდეგი წინასწარი სამუშაოების ჩატარება: 1. ელექტროლიტის მომზადება ელექტროლიზის პროცესის ჩასატარებლად იმ თავისებურებების გათვალისწინებით, რომლებიც ლდობილთა ელექტროლიზს ახასიათებს წყალსნართა ელექტროლიზთან შედარებით; 2. ალუმინით დასაფარი ნაკეთობებისა და დეტალების მომზადება ელექტროლიზის ჩასატარებლად, რაც გულისხმობს მათ მექანიკურ ან ქიმიურ დამუშავებას, ან კიდევ ორივე ოპერაციის ერთიმეორის თანმიმდევრობით ჩატარებას; 3. ელექტროლიზური აბაზანისა და მისი შიგთავსის – მუშა ელექტროლიტის (უწყლო ალუმინის ქლორიდი ბარიუმისა და ნატრიუმის ქლორიდის დანამატების თანაობისას) მიყვანა საჭირო ტემპერატურამდე და ამ ტემპერატურის შენარჩუნება შესაბამისი სიზუსტით, აგრეთვე – ელექტრული გამმართველის მომზადებას ელექტროლიზის პროცესის ჩასატარებლად (დამიწებისა და ელექტრული კონტაქტების შემოწმება,

გამმართველის გამოცდა ფუჭი სვლის რეჟიმში); 4. საკუთრივ ალუმინირების პროცესის დაზუსტების პროცესის ჩატარება წინასწარ შემუშავებული დაბალტემპერატურული გალვანური ალუმინირების ტექნოლოგიური რეჟიმის მიხედვით, რომელიც გულისხმობს შემდეგი ტექნოლოგიური პარამეტრებისა და პროცესის მახასიათებლების შემოწმებასა და დაზუსტებას გამსხვილებული მაშტაბის დანადგარზე, როგორიცაა კათოდური და ანოდური დენის სიმკვრივე, ძაბვა აბაზანაზე, საჭირო ტემპერატურის მიღწევა და მისი შენარჩუნება შესაბამისი სიზუსტით, აბაზანის პერმეტულობის ხარისხი პროცესის დროს, ალუმინით დასაფარავი დეტალების წინასწარი და ოპერაციის შემდგომი დამუშავების ტექნოლოგიურობა და ხარისხი.

ამოცანა №2. ქმედება 2

ელექტროლიტის მომზადება (გაუწყლოება, გაშრობა)

ნალილობთა ელექტროლიზის ნორმალურად ჩატარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ალუმინის ქლორიდის გამოყენებას გაუწყლოებული სახით და მისი ამ სახით შენარჩუნებას ელექტროლიზის მთელი პროცესის განმავლობაში.

ელექტროლიზის პროცესის ჩასატარებლად გამოყენებული იყო უწყლო ტექნიკური ალუმინის ქლორიდი რეაქტორული კვალიფიკაციის დანამატებით – ბარიუმის ქლორიდი და ნატრიუმის ქლორიდი.

როგორც ცნობილია, ალუმინის ქლორიდი ძლიერ ჰიდროსკოპიული ნივთიერებაა. ამიტომ მაქსიმალური ყურადღება უნდა მიექცეს მასში ტენის შემცვლელობას და მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი ამ ნივთიერების ატმოსფერულ პაერთან შეხების დრო.

მცირე რაოდენობით ტენის შემცვლელობის შემთხვევაში ($0,5\%-ზე$ ნაკლები) გალვანური ალუმინირების პროცესის დაწყების წინ ტარდება ფორელექტროლიზი, რომლის დროს წყლის დაშლით წარმოქმნილი მცირე რაოდენობით წარმოქმნილი წყალბადი და ჟანგბადი გაიწოვება გამწოვი ვენტილაციის დახმარებით.

ამოცანა №2. ქმედება 3

ნიმუშების მომზადება ელექტროლიზის ჩასატარებლად
(მექანიკური და ქიმიური დამუშავება)

ნიმუშების გალვანური ალუმინირების პროცესის ჩატარების წინ სრულდებოდა შემდეგი სტანდარტული ოპერაციები: 1. დეტალების ქიმიური დამუშავება (გაუცხიმოვნება და ამოჭმა); 2. მექანიკური დამუშავება (ზუმფარის გამოყენება, სილაჭავლური და მბრუნავი სახები რგოლით დამუშავება).

გაუცხიმოვნებისათვის გამოიყენებოდა 10% -იანი ტუტის ხსნარი, ხოლო ამოჭმისათვის 5-8% -იანი გოგირდმჟავის ხსნარი. თითოეული ამ ოპერაციის დამთავრების შემდეგ ალუმინით დასაფარავი დეტალები ირეცხებოდა ონკანის წყლით და შრებოდა საშრობ კარადაში. უშუალოდ დაფარვის წინ დეტალებს უტარდებოდა მექანიკური დამუშავება.

ამოცანა №2. ქმედება 4

აბაზანის გახურების სისტემისა და ელექტრული გამმართველის მომზადება

ტექნოლოგიური პროცესის ლაბორატორიულ პირობებში დამუშავების დროს ელექტროლიზური აბაზანა იღგმებოდა შახტურ ღუმელში და ხურდებოდა საჭირო ტემპერატურამდე. გამსხვილებული მასშტაბის ცდების ჩასატარებლად გამოიყენებოდა უფრო დიდი ზომის აბაზანა, რომლის შახტურ ღუმელში მოთავსება მუშა ელექტროლიტის გასაცხელებლად შეუძლებელი იყო. ამიტომ გაცხელებისათვის გამოვიყენეთ ლია ელექტრული ღუმელი (ელექტროქურა) ნიქრომის სპირალური გამახურებლის ბაზაზე. ელექტროქურის სიმძლავრე შეადგენდა 5 კვტ-ს. ტემპერატურის რეგულირებისათვის გამოიყენებოდა ავტომატური რეგულატორი მექანიკური კონტაქტებით, რომლის ტემპერატურის რეგულირების სიზუსტე შეადგენდა $\pm 3^{\circ}\text{C}$ -ს.

ელექტრული გამმართველი, რომელსაც ტექნოლოგიური მოწყობილობის მომზადების დროს ჩაუტარდა რევიზია და გამოიცადა ფუჭი სვლის რეეიმში (ამოცანა №1, ქმედება5), უშუალოდ ალუმინირების პროცესის ჩატარების წინ კვლავ შემოწმდა ელექტრული მახასიათებლების მოთხოვნებისადმი შესაბამისობაზე და შემდეგ ელექტრული სადენების გამოყენებით ჩაირთო ელექტრული აბაზანის წრედში პოლარობის დაცვით.

ამოცანა №2. ქმედება 5

დაბალტემპერატურული ალუმინირების ტექნოლოგიური
პარამეტრების დაზუსტების ცდების ჩატარება

გამსხვილებული მასშტაბის დაბალტემპერატურული გალვანური ალუმინირების ტექნოლოგიური პარამეტრების დაზუსტების ცდები ტარდებოდა შემდეგი მეთოდიკის მიხედვით.

პროცესის ჩასატარებლად გამსხვილებული მასშტაბის აბაზანა შემოიდგმებოდა ელექტროდუმელზე. აბაზანას აქციური და აბაზანიდან ამოიდგმებოდა ტეფლონის ფიქსატორი მასზე მიმაგრებული ანოდითა და კათოდით. ჩაირთვებოდა გამწოვი ვენტილაცია. შემდეგ აბაზანაში იყრებოდა ზუსტად აწონილი პროცესის ჩასატარებლად საჭირო კომპონენტები ასეთი თანმიმდევრობით: ბარიუმის ქლორიდი, ნატრიუმის ქლორიდი, ალუმინის ქლორიდი. აბაზანას მჭიდროდ ეხურებოდა თავსახური. ჩაირთვებოდა ელექტროქურა და იწყებოდა აბაზანის გახურება. 180°C ტემპერატურის მიღწევისას მარილთა ნარევის ძირითადი კომპონენტი – ალუმინის ქლორიდი ლდვებოდა და ხდებოდა ნალღობის უფრო ინტესიური შერევა და ჰომოგენიზაცია. ნალღობის გახურება გრძელდებოდა $190-200^{\circ}\text{C}$ ტემპერატურამდე ჰომოგენიზაციის პროცესის ბოლომდე მიყვანისათვის აღნიშნულ ტემპერატურას ვიჭერდით დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში. ამის შემდეგ წყდებოდა ძაბვის მიწოდება ელექტრულ დუმელზე და აბაზანა თავისი შიგთავსით იწყებდა გაცივებას. გაცივების პროცესი გრძელდებოდა ტემპერატურის $120-125^{\circ}\text{C}$ -მდე ჩამოსვლამდე. ამ დროს

ჩაირთვებოდა ავტომატური რეგულატორი აღნიშნული ტემპერატურის მუდმივად შენარჩუნებისათვის. ამით მარილთა ნალლობის ელექტროლიზის ჩასატარებლად მომზადების პროცესი მთავრდებოდა.

ამის შემდეგ იწყებოდა აბაზანის ანოდითა და კათოდით დაკომპლექტების პროცესი. კრონშტეინზე შემოდგმული ტეფლონის ფიქსატორის კათოდზე ჩამოიკიდებოდა ალუმინიო დასაფარი დეტალები, კერძოდ, ნახშირბადოვანი ფოლადის წინასწარ დამუშავებული – ქიმიურად და მექანიკურად გაწმენდილი ჭანჭიკები, აბაზანას აეხდებოდა სახურავი და ტეფლონის ფიქსატორი მასზე დამაგრებული ანოდითა და კათოდით სწრაფად ჩაიდგმებოდა აბაზანაში. ამ უკანასკნელს დაეხურებოდა სახურავი კორპუსის მილტუჩსა და სახურავს შორის შუასადების მოთავსებით და აბაზანას ჩაუტარდებოდა ჰერმეტაზაცია სახურავის მჭიდროდ მიჭერით კორპუსთან სახურავსა და კორპუსის მილტუჩში გაყრილი 16 ცალი M8 ჭანჭიკითა და ქანჩით.

ტემპერატურის 120-125°C-ის ფარგლებში დარეგულირების შემდეგ იწყებოდა ელექტროლიზი გამმართველის საშუალებით აბაზანაზე მუდმივი დენის მიწოდებით.

სამუშაო უურნალში ფიქსირდებოდა ელექტროლიზის ყველა საჭირო პარამეტრი: ტემპერატურა, დენის ძალა, ძაბვა ანოდსა და კათოდს შორის, ელექტროლიზის ხანგრძლივობა, აგრეთვე – თვით ელექტროლიზის მსვლელობის ხასიათი: აბაზანის ჰერმეტიზაციის მდგომარეობა, გამწოვი ვენტილაციის შეუფერხებელი მუშაობა, პროცესის მსვლელობის დროს აბაზანის აირგამომყვანი მილიდან გამომავალი აირების გაწოვის სისრულე ვენტილაციის სისტემის მეშვეობით (მოწმდებოდა სუნის შეგრძნებით).

სულ ჩატარდა დაბალტემპერატურული გალვანური ალუმინირების სამი ცდა. ამ ცდების შედეგები მოყვანილია ცხრილში.


N	ერთი ჭანჭიკის გეომეტრიული ფართი, სმ^2	ჭანჭიკის რაოდენობა, ცალი	კათოდური დენის სიმკვრივე, ამპ/სმ ²	ნალლობის ტემპერატურა, °C	ჯამური დენის ძალა, ამპერი	ძაბვა აბაზანაზე, ვოლტი	ელექტ- როლიზის ხანგრ- ძლივობა, წთ.
1	18,7	6	30	120	3,4	2,3	40
2	15,6	4	20	120	1,26	2,1	60
3	8,2	5	50	120	2,05	2,5	30

ელექტროლიზის პროცესი ხასიათდებოდა დენის ძალისა და ძაბვის სტაბილურობით, ტემპერატურის ცვლილების საკმაოდ მცირე დიაპაზონით, დაფარვის ხანგრძლივობა იცვლებოდა 30-60წთ-ის ფარგლებში. აირების გამოყოფას სამუშაო ოთახში აღგილი არ ჰქონდა.

ელექტროლიზის დამთავრების შემდეგ ტეფლონის ფიქსაციონი ანოდითა და კათოდით ამოიტვირთებოდა აბაზანიდან და ცივდებოდა მცირე ხნით ცივ წყალში ჩაყოფით. შემდეგ თითოეული დეტალი იხსნებოდა კათოდიდან, ირეცხებოდა ონკანის წყლით და შრებოდა საშრობ კარადაში.

დანაფარები ვიზუალურად კარგი გამოიყურებოდა: იყო გლუვი, ატკების გარეშე, დია ფერის.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ გამსხვილებულ მასშტაბში ჩატარებული ცდების შედეგები სრულად შეესაბამებოდა ლაბორატორიულ ცდებში მიღებულ შედეგებს.





შემსრულებლები:

1. მთავარი სპეციალისტი – ნოდარ გასვიანი
2. მთავარი სპეციალისტი – რაულ ქოკილაშვილი
3. მექანიკოსი – გამუკა ოჩიგავა

შესაგალი

ლითონთა კოროზია მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემაა. კოროზიისაგან მიუენებული ზარალი კოლოსალურია და ყოველწლიურად ასეულ მიღიარდობით დოლარს შეადგენს.

ლითონთა, პირველ რიგში ფოლადის ნაკეთობებისა და კონსტრუქციების კოროზიისაგან დაცვა ხორციელდება ძირითადად თუთიის, კალის და ქრომის დანაფარებით, მაგრამ ამ ლითონთა მარაგები მსოფლიოში ძალიან შემცირებულია. მათ ალტერნატივას წარმოადგენს ალუმინის დანაფარები (ამ ლითონის მარაგი კი პრაქტიკულად ულევია). ამასთან ერთად, ლითონთა ალუმინის დანაფარებს მთელი რიგი დადებითი თვისებები ახასიათებს: მხურვალმედეგობა, კოროზიული მდგრადობა მაღალ ტემპერატურაზე, ექსპლუატაციის ხანგრძლივი ვადა.

ლითონთა გალვანური ალუმინირება შესაძლებელია გამდვალი მარილების ელექტროლიზით $700\text{-}770^{\circ}\text{C}$ ტემპერატურებზე, რაც მნიშვნელოვან ენერგოდანახარჯებთან არის დაკავშირებული და ტექნიკურადაც ძნელი განსახორციელებელია.

ჩვენს მიერ შემოთავაზებულ ჰალოგენიდურ ნალიობში ლითონთა გალვანური ალუმინირება შესაძლებელია ლლობილთათვის უჩვეულოდ დაბალ ტემპერატურაზე ($\sim 100^{\circ}\text{C}$). ამ მეთოდით შესაძლებელია ალუმინირება ჩაუტარდეს რთული პროფილის ლითონის ნაკეთობებს, კერძოდ ხრახნული პროფილის ლითონთა ნაწილების დამაკავშირებელ ქანქიებსა და ჭანჭიკებს, რომელთა ხანმეგებობაზე დიდად არის დამოკიდებული ლითონთა კონსტრუქციების, მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ანძების და მრავალი სხვა მოწყობილობის მდგრადობა.

ჰალოგენიდური ნალიობის ძირითადი კომპონენტი არის უწყლო ალუმინის ქლორიდი AlCl_3 . ალუმინირების პროცესის $\sim 100^{\circ}\text{C}$ -ზე ჩატარებისას საჭირო არ არის ძვირადღირებული ცეცხლგამძლე მასალების გამოყენება და რაც მთავარია, მნიშვნელოვნად ნაკლებია ენერგოდანახარჯები. გარდა ამისა, ასეთ ტემპერატურაზე მკვეთრად მცირდება ალუმინის ქლორიდის აქლორადობა, რაც შრომის პირობების გაუმჯობებისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია.

პროექტის ფარგლებში დამზადდა, გამოიცადა და ექსპლუატაციაში იმყოფებოდა გამსხვილებული მასშტაბის დაბალტემპერატურული გალვანური ალუმინირების აბაზანა, რომელშიც ალუმინირება ჩაუტარდა რამდენიმე პრაქტიკაში ფართოდ გამოყენებულ ფოლადის დეტალებს (ჭანჭიკები, ქანქები, ფირფიტები). ამ ნაკეთობების კოროზიულმა გამოცდამ შესაბამის გარემოში და მეტალოგრაფიულმა და რედგენოგრაფიულმა ანალიზმა აჩვენა მათი მაღალი კოროზიული მდგრადობა და სხვადასხვა სახის ლითონკონსტრუქციებში გამოყენების შესაძლებლობა.

ამოცანა №3

ენერგეტიკასა და სამშენებლო ინდუსტრიაში გამოყენებული ლითონური
ნაკეთობების

ალუმინირების პროცესის ჩატარება გამსხვილებულ დანადგარზე.

ქმედება 3.1.

დაბალტემპერატურული ალუმინირების ოპტიმალური ტექნოლოგიური
რეჟიმის ძირითადი განმსაზღვრელი პარამეტრებია: ნალექობის ტემპერატურა, კათოდური
დენის სიმკვრივე, ელექტროლიზის ხანგრძლივობა

დაბალტემპერატურული გალვანური ალუმინირების ოპტიმალური ტექნოლოგიური
რეჟიმის ძირითადი განმსაზღვრელი პარამეტრებია: ნალექობის ტემპერატურა, კათოდური
დენის სიმკვრივე, ელექტროლიზის ხანგრძლივობა.

ექსპერიმენტი ტარდებოდა კორუნდის, ფაიფურის ან მინის ჭურჭელში, რომელებიც
იყო დახურული ფტოროპლასტიო ეკრანირებული რეზინის საცობით. საცობში
მაგრდებოდა ელექტროდებთან დამაკავშირებელი მოლიბდენის დენმიმყვანები და
თერმომეტრი. კათოდებად გამოყენებული იყო დაბალხარისხიანი ფოლადები – ძირითადად
ფოლად 3-ის ფირფიტები. ნოდებად ალუმინის ფირფიტები, წინასწარ მომზადებული
ნალექობი თავსდებოდა კორუნდის ტიგელში.

ელექტროლიზის ოპტიმალური პირობების დადგენის მიზნით იცვლებოდა პროცესის
პარამეტრები. ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ დამაკავშირფილებელი დანაფარები მიიღება
შემდეგი პირობების დაცვით: ტემპერატურა ($100-110$) $^{\circ}\text{C}$; ელექტროლიზის ხანგრძლივობა (25-
45) წთ; კათოდური დენის სიმკვრივე ($0.03-0.1$) ა/სმ^2 ზღვრებში. ამ პირობებში მიიღება
ნათელი, მოვერცხლისფრო, სარჩულთან კარგი ადგეზიის მქონე დანაფარები, რომლთა
სისქე ($20-30$) მკბ-ია. აღნიშნულთან შედარებით უფრო დაბალ დენის სიმკვრივეებზე
მიიღება სარჩულთან ცუდად შეჭიდული დანაფარები, ხოლო უფრო მაღალ დენის
სიმკვრივეზე მიიღება მუქი დანაფარები, არაერთგვაროვანი ზედაპირით, ფორიანი, მყიფე,

რომლებიც ადგილად იქმნება სარჩულისაგან. მაღალი დენის სიმკვრივეებზე მცირე დროით (10-15წ) ელექტროლიზის დროსაც კი, დანაფარების ზედაპირზე შეიმჩნევა დენდრიტ წარმონაქმნები. ამ დროს დენით გამოსავალი ეცემა ნახ.1(ა). დენით გამოსავალი ეცემა, აგრეთვე, ხანგრძლივი ელექტროლიზის დროსაც ნახ.1(ბ).

ცხრილებში 1 და 2 ნაჩვენებია ელექტროლიზის ხანგრძლივობის და დენის სიმკვრივის გავლენა დანაფარის ხარისხზე.

ცხრილი 1


ელექტროლიზის ხანგრძლივობის გავლენა დანაფარის სისქეზე და ხანმედეგობაზე.

Nº	ელექტროლიზის ხანგრძლივობა წთ.	დანაფარის სისქე მდ.	შ ე ნ ი შ ვ ნ ა
1	5	-	არასრული დაფარვა. კათოდი დაფარულია ალაგ-ალაგ.
2	10	5	დანაფარი უხარისხოა.
3	15	10	არადამაკმაყოფილებელი დანაფარი.
4	20	20	კარგი დანაფარი.
5	30	25	კარგი დანაფარი.
6	40	25	შეიმჩნევა დენდრიტების წარმოქმნა.
7	50	30	შეიმჩნევა დენდრიტების წარმოქმნა. დენით გამოსავალი დაუცა.
8	80	30	შეიმჩნევა დენდრიტების წარმოქმნა. დენით გამოსავალი დაუცა.

ცხრილი 2

**დენის სიმკვრივის გავლენა დანაფარის ხარისხზე ელექტროლიზის
ოპტიმალური ხანგრძლივობის 25%-ის პირობებში**

№	დენის სიმკვრივე ა/სგ ²	დანაფარის სისქე მდგ.	შენიშვნა
1	0,01	-	არასრილი დაფარვა.
2	0,02	-	არასრული დაფარვა.
3	0,03	10	ფორმიანი დანაფარი.
4	0,04	20	კარგი დანაფარი.
5	0,05	25	ძალიან კარგი დანაფარი.
6	0,06	25	შეიმჩნევა დენტრიტების წარმოქმნა. დენით გამოსავალი ეცემა.
7	0,08	30	შეიმჩნევა დენტრიტების წარმოქმნა. დენით გამოსავალი დაუცა.
8	0,10	30	შეიმჩნევა დენტრიტების წარმოქმნა. დენით გამოსავალი დაუცა.



ნახ. 1. a. დენიოთ გამოსავლის (η) დამოკიდებულება კათოდური დენის სიმკვრივეზე.

b. დენიოთ გამოსავლის (η) დამოკიდებულება ელექტროლიზის ხანგრძლივობაზე, მუდმივი დენის სიმკვრივის დროს $d_\delta=0,05 \text{ s}/\text{s}^2$.

ლდობილ ლითონთა ჰალოგენიდურ მარილთა ნარევი, $t = 110^\circ\text{C}$, კათოდი ფოლადი – 3, ანოდი ალუმინი – სპირალი

ქმედება 3.2

**პრაქტიკაში გამოყენებული ნაკეთობებისა და დეტალების შერჩევა
გალვანური ალუმინირებისათვის**

გალვანური ალუმინირებისათვის გამოყენებული იყო მრეწველობაში, მშენებლობასა და ენერგეტიკაში გამოყენებული ნაკეთობები და დეტალები, დამზადებული სხვადასხვა მარკის ფოლადების ბაზაზე. კერძოდ, კათოდებად გამოყენებული იყო მცირენასშირბადიანი ფოლადის CT-3-ის ფირფიტები, CT-40 და X-18 ფოლადების ნიმუშები, ლითონთა დეტალებისა და კვანძების მექანიკურად დამაკავშირებელი ხრახნიანი პროფილის ნაკეთობები – ქანჩიკები, დამზადებული ფოლადებისაგან 25ХМФ და 35МФ.

ქმედება 3.3

შერჩეული ნაკეთობებისა და დეტალების წინასწარი დამუშავება

ხარისხიანი დანაფარების მიღებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნაკეთობებისა და დეტალების წინასწარ მომზადებას. ალუმინით დასაფარი დეტალების წინასწარი დამუშავება ხდებოდა ორი მეთოდით: მექანიკურად და ელექტროქიმიურად. ზედაპირის მექანიკური გაწმენდა ტარდებოდა სხვადასხვა სიმქისის ზუმფარით – უხეშით დაწყებული და ნულოვანით დამთავრებული, შემდეგ იგი პრიალდებოდა მაუდის ნაჭრით, რის შემდეგ ირეცხებოდა აცეტონში ან ეთერში.

ელექტროქიმიური (ანოდური) დამუშავება ტარდებოდა შემდეგი შემადგენლობის ხსნარში: 150-200 გ/ლ H₂SO₄+20-40 გ/ლ NaCl. ხსნარის ტემპერატურა შეადგენდა 20-25°C, დამუშავების დროს ანოდს წარმოადგენდა დასაფარი ნაკეთობა: ქანჩი, ჭანჭიკი და სხვა, ხოლო კათოდად გამოიყენებოდა ტყვიის ფირფიტა. ანოდური დენის სიმკვრივე იცვლებოდა 0,03-0,05 ა/სმ² ფარგლებში, ხოლო ელექტროლიზის ხანგრძლივობა იყო 5-10 წთ. ელექტროლიზის შემდეგ დასაფარი ნაკეთობები ირეცხებოდა გამდინარე

წყლით და შრებოდა ეთერში ან აცეტონში. ამის შემდეგ ხდებოდა შერჩეულ ნალღობში მისი გალვანური დაფარვა ალუმინით.

ქმედება 3.4

დაბალტემპერატურული ალუმინირების პროცესის ჩატარება ენერგეტიკასა და მშენებლობაში გამოსაყენებელ ნაკეთობებზე

ცდები ტარდებოდა ჩვენს მიერ დაპროექტებულ და დამზადებულ გამსხვილებული მასშტაბის ელექტროლიზურ აბაზანაში. ელექტროლიტი მზადდებოდა წინასწარ გაუწყლოებული მარილების (AlCl_3 , NaCl , BaCl_2) შელღობით, რომლებიც ელექტროლიზურ აბაზანაში იყრებოდა შემდეგი თანმიმდევრობით: BaCl_2 , NaCl , AlCl_3 . ამის შემდეგ აბაზანას ჰერმეტულად ეხურება სახურავი. იწყებოდა აბაზანის გახურება ელექტრულად. 180°C ტემპერატურის მიღწევისას AlCl_3 ლდვებოდა, რის შემდეგაც მიიღწეოდა ნალღობის ინტენსიური შერევა და ჰომოგენიზაცია. ჰომოგენიზაციის პროცესის ბოლომდე მიყვანისათვის ნალღობი ცხელდებოდა $190\text{-}200^{\circ}\text{C}$ ტემპერატურამდე და ამ ტემპერატურის დაჭერა ხდებოდა ნახევარი საათის განმავლობაში, შემდეგ ხდებოდა აბაზანის გაცივება, რომელიც გრძელდებოდა ტემპერატურის $120\text{-}125^{\circ}\text{C}$ -მდე შემცირებამდე. ამ ტემპერატურის მუდმივად შენარჩუნებისათვის გამოიყენებოდა ავტომატური რეგულატორი.


შემდეგ ხდებოდა აბაზანის დაკომპლექტება ელექტროდებით – კათოდით (ალუმინით დასაფარი დეტალები) და ანოდით (ხსნადი ალუმინის ფირფიტებით).

დანაფარის სისქის გაზრდის და საერთოდ მისი ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გამოყენებული იყო მეტალ-მოდიფიკატორები, რომლებიც მცირე რაოდენობით შეიყვანებოდა ელექტროლიტში. ალუმინის, ნატრიუმის და ბარიუმის ქლორიდების შემცველ ნალღობაში ($0,01\text{-}0,1$ მასური პროცენტის ოდენობით); (ლითონთა მოდიფიკატორების შეყვანა დანაფარში ხდებოდა შესაბამისი ლითონისაგან დამზადებული დამხმარე ანოდის ელექტროქიმიური გახსნით.) ადრე ჩატარებულ ცდებში მოდიფიკატორებად გამოყენებული იყო ბისმუტი, კალა, მანგანუმი, ტყვია, ცირკონიუმი და ქრომი. დადებითი შედეგები იყო მიღებული მანგანუმის, ტყვიის, ცირკონიუმის და ქრომის შემთხვევაში, ხოლო კალის და ბიმუტის შემთხვევაში – უარყოფითი შედეგი.

ამიტომ გამსხვილებულ მასშტაბის ცდებში მოდიფიკატორებად გამოვიყენეთ მანგანუმი, ტყვია, ცირკონიუმი და ქრომი.

ტყვიის მინარევის მცირე რაოდენობა დანაფარზე მოქმედებს, როგორც ზედაპირულად აქტიური ნივთიერება, რაც იძლევა დანაფარის სისქის გაზრდის შესაძლებლობას. დანაფარში ტყვიის შემცველობა ~1%-ს შეადგენს. ტყვიის იონების დამატებით შესაძლებელი გახდა დენის სიმკვრივის გაზრდა, რის შედეგადაც დანაფარის სისქე გაიზარდა 60-70 მკმ-მდე (ცხრილები 1-3). ქრომის და მანგანუმის გამოყენებამ შესაძლებელი გახდა არა მარტო დანაფარის სისქის გაზრდა, არამედ შეამცირა ელექტროლიტის აქროლადობაც, აგრეთვე – დენდრიტებისა და შესაბამისად შლამის წარმოქმნის პროცესის სიჩქარე, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ელექტროლიტის სტაბილურობას. მანგანუმის შემცველობა დანაფარში შეადგენს ~2%-ს.

სურ. 1 და 2 მოცემულია ელექტროლიზური აბაზანის სახურავზე დაფიქსირებული ალუმინიუმის დეტალები (ჭანჭიკები, ქანჩები და ფირფიტები) და ალუმინის სსნადი ანოდენი ცდის დამთავრების შემდეგ.





ლითონზე ალუმინის დანაფარების მიღების პროცესის ოპტიმალური პირობები მოცემულია ცხრილში.

ცხრილი 1

№	სარჩული მასალა	ანოდი- მოდიფიკატორი	თანაფარდობა I_a/I_s	დენის სიმკვრივე $I, \text{ а/ს}^2$	დანაფარის სისქე $h, \text{ м} \mu$	დენის გამოსავალი $\eta\%$
1	CT-3	-----	-----	0,03	20	89,5
2	X-18	-----	-----	0,04	22	85,5
3	CT-40	-----	-----	0,04	25	86,0
4		Pb	1/1000	0,06	60	96,0
5		Zr	1/500	0,05	49	92,5
6	CT-3	Mn	1/500	0,04	52	89,5
7		Cr	1/250	0,03	55	80,0

8		Pb	1/1000	0,06	63	95,3
9	X-18	Zr	1/500	0,05	54	90,4
10		Mn	1/500	0,04	55	91,5
11		Pb	1/1000	0,08	68	96,5
12	CT-40	Zr	1/500	0,05	57	90,0
13		Mn	1/500	0,05	60	91,0

ცხრილი 2.

კათოდის მასალა და რაოდენობა	კათოდური დენის სიმკვრივე, A/cm^2	ელექტროლი- ზის ხანგრძლი- ვობა, V	ტემპე- რატურა	ანოდი, დამხმარე ანოდი; მათ შორის დენის შეფარდება	დანაფა- რის სისქე h მგმ	დენით გამო- სავა- ლი	შენიშვნა: დანა- ფარის ხარისხი
CT-3 4G 7818 cm^2	0,02	120	120	Al/Cr 1/1000	15	90	კარგი
CT-3 5G 8818 cm^2	0,04	60	120	Al/Pb 1/1000	77	77	კარგი
CT-3 5G 8818 cm^2	0,04	60	120	Al/Pb 1/1000	77	85,3	კარგი
25XMΦ 7G	0,2	60	120	Al/Cr 1/1000	26	49,5	კარგი
	0,3	60	120	Al/Cr 1/1000	31	65	კარგი

3. ცხრილი

ჭანჭიკების რაოდგ- ნობა, მასალები	საერთო ფართი $\text{ს}\text{მ}^2$	კათოდური დენის სიმკვრივე, $\text{ა}/\text{ს}\text{მ}^2$	ელექტრო- ლიზის დრო, წთ	ძირითადი და დამხმარე ანოდები	დანაფარ- ის სისქე, მკბ	დენიო გამოსავა- ლი, %	შენიშვნა: დანაფა- რის ხარისხი
25XMΦ 7გ	109,2	0,02	60	Al Al-Pb	26-28	92	კარგი დანაფარი
25XMΦ 7გ	88,3	0,03	60	360/0,36	30-32	83	კარგი დანაფარი
5გ	80	0,04	60	Al-Cr	25-28	58	კარგი დანაფარი
7გ	57,4	0,05	30	Al-Cr	20-24	71	კარგი დანაფარი

ამოცანა 4

ალუმინირებული ნაკეთობების მახასიათებლების განსაზღვრა

ქმედება 4.1

**ლუმინირებული ნაკეთობების მომზადება ფიზიკურ-ქიმიური
გამოკვლევებისათვის**

ალუმინისა და მისი შენადნობების მიკროსტრუქტურის შესწავლა გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული გამომდინარე მათი მაღალი პლასტიკურობისა და ნაკლები სიმტკიცის გამო. ამის გათვალისწინებით არის შესაძლებელი ალუმინირებული ნიმუშების ზედაპირის დამუშავების მეთოდიკა მისი სტრუქტურის შესასწავლად. გაშლიფებული და გაპრიალებული ნიმუში მუშავდებოდა 0,5%-იან მდნობ მუავაში დასველებული ბამბით. შემდეგ იგი მოწამვლის მიზნით თავსდებოდა NaOH-ის 20%-იან წყალსნარში 40 წმ-ის განმავლობაში. მოწამვლის შედეგად წარმოქმნილი მუქი ფერი შორდებოდა კონცენტრირებული აზოტმჟავით, რის შემდეგ სინჯი ირეცხებოდა ცხელი გამოხდილი წყლით და შრებოდა ფილტრის ქაღალდით.

ქმედება 4.2

ნიმუშების კოროზიული გამოცდების ჩატარება

ალუმინით დაფარული ნაკეთობები გამოიცადა კოროზიამედეგობაზე სპეციალურად შექმნილ გარემოში. ეს აჩქარებული მეთოდი მდგომარეობდა შემდეგში: ალუმინით დაფარული ნაკეთობები იკიდებოდა მავთულებით სპეციალურ მბრუნავ რგოლზე და მათი ეშხეფებოდა 3-5%-იანი სუფრის მარილის ხსნარი. სხვადასხვა მარკის ფოლადისაგან დამზადებული ნაკეთობები (ჭანჭიკები და ქანჩები) წინასწარ იყო

დანომრილი. ნაკეთობები იყო დამზადებული შემდეგი ფოლადებისაგან: CT-3, X-186 25X1MΦ და 25XM. მბრუნავ რგოლზე დაკიდებულ ჭანჭიკებსა და ქანჩებს მუდმივად ეშხევებოდა მარილებისარი 12 დღედამის განმავლობაში. შემდეგ ნაკეთობები ირეცხებოდა გამდინარე წყალში და ხდებოდა მათზე ვიზუალური დაკვირვება ლუპის საშუალებით.

ამ დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მაღალი კოროზიული მედუზობა აღმოაჩნდათ X-18, 25X1MΦ და 25XM ფოლადებისაგან დამზადებულ ნაკეთობებს, რომლებზედაც ვიზუალურად არ შეიმჩნეოდა კოროზიის ნიშნები. რაც შეეხება CT-3-გან დამზადებულ ნაკეთობებს, მათზე შეიმჩნეოდა უმნიშვნელო ცვლილებები. კოროზიული ზემოქმედება არ აღნიშნებოდა ქრომისა და ნიკელის დამხმარე ანოდების გამოყენებით დაფარულ ნაკეთობებს (დამხმარე ანოდები გამოყენებული იყო ალუმინის ძირითად ანოდთან ერთად). დამხმარე ანოდზე დენის სიმკვრივე სამი რიგით ნაკლები იყო, ვიდრე ძირითად – ალუმინის ანოდზე.

კოროზიული ცვლილებები არ განიცადა არცერთმა დანაფარმა, რომლებიც მოთავსებული იყო დია ატმოსფეროში 2,5 თვის განმავლობაში ატმოსფერული ზემოქმედების ქვეშ.


ქმედება 4.3

ნიმუშების ფიზიკური მახასიათებლების დადგენა (მეტალოგრაფიული და რენდგენოგრაფიული გამოკვლევები)


მიღებული დანაფარების სტრუქტურა და შემადგენლობა ისაზღვრებოდა მეტალოგრაფიული და რენდგენოგრაფიული მეთოდებით.

მეტალოგრაფიული და რენდგენოგრაფიული ანალიზის მეთოდებით (სურ.1) დადგინდა, რომ მცირენას მირბადიანი ფოლადის CT-3-ის ალუმინის დანაფარების შეჭიდულობა ფუძესთან საკმარისად ძლიერია. იგივე ფუძეზე დანაფარის შეჭიდულობას ზრდის მისი დოპირება ქრომით და მანგანუმით. ეს მაჩვენებელი ამ მაღალი დანაფარებისათვის შესაბამისად შეადგენს 70 კგ/სმ^2 და 77 კგ/სმ^2 შესაბამისად, ხოლო ფოლადისათვის X-18 - 55 კგ/სმ^2 და 60 კგ/სმ^2 შესაბამისად. ტყვიით მოდიფიცირებული ალუმინის დანაფარების შეჭიდულობა შედარებით ნაკლებია და შეადგენს 50 კგ/სმ^2 . კარგი

დანაფარები მიიღება $25\times 1\text{M}\Phi$ და $25\times \text{M}$ ფოლადებისაგან დამზადებულ ხრახნიან ნაკეთობებზე (ქანჩები და ჭანჭიკები). ისინი საკმარისი სისქის და სიმტკიცის დანაფარებია და ხასიათდებიან მაღალი კოროზიული მედეგობით.



(s)



(d)

სურ.1. Fe-Al-Pb (s) და Fe-Al-Zr (d) დანაფარების მეტალოგრაფიული ანალიზი (სარჩევლი CT-3)

დასკვნები

1. გამსხვილებულ მასშტაბში დამუშავებულია ენერგეტიკასა და სამშენებლო ინდუსტრიაში გამოყენებული სხვადასხვა მარკის ფოლადებისაგან დამზადებული სამაგრი ნაკეთობების (ჭანჭიკები, ქანჩები და სხვა) დაბალტემპერატურული გალვანური ალუმინირების ტექნოლოგიური პროცესი ალუმინის ქლორიდის ნალღობის ბაზაზე. დადგენილია პროცესის ოპტიმალური პარამეტრები: ნალღობის ტემპერატურა – $100-120^{\circ}\text{C}$, კათოდური დენის სიმკვრივე – $0,02-0,03 \text{ A/cm}^2$, ელექტროლიზის ხანგრძლივობა – $30-45$ წთ, ალუმინის დანაფარის სისქე – $25-40\text{g/cm}^2$, ნაკეთობების წინასწარი და დაფარვის შემდგომი დამუშავების პირობები.
2. დამუშავებულია, დამზადებულია და გამოცდილია გალვანური ალუმინირების მსხვილლაბორატორიული მასშტაბის ჰერმეტული ელექტროლიზური აბაზანა 8 ამპერი მაქსიმალური დენის დატვირთვით.
3. შემუშავებულია კონსტრუქციის ელექტროლიზური აბაზანის გამოყენებით ჩატარებულია სხვადასხვა მარკის ფოლადებისაგან (CT-3, X-18, 25X1MФ, 25XM) დამზადებული ჭანჭიკებისა და ქანჩების გალვანური ალუმინირება ოპტიმალურ ტექნოლოგიურ რეჟიმში.
4. დადგენილია მოდიფიკატორების – მანგანუმის, ტყვიის და ქრომის დადებითი გავლენა დანაფარის ხარისხზე: კათოდური დენის სიმკვრივისა და დანაფარის სისქის გაზრდა (Pb), ელექტროლიტის აქროლადობისა და დენდრიტებისა და შესაბამისად შლამის წარმოქმნის სიჩქარის შემცირება, დანაფარის სისქის გაზრდა (Mn, Cr).
5. მეტალოგრაფიული და რენდგენოგრაფიული მეთოდებით შესწავლილია მიღებული დანაფარების ხარისხობრივი მაჩვენებლები.